საქართველოს სოციალ-დემოკრატიული პარტიის ორგანო — კვირა, 10 აგვისტო 1919 წ. — № 178

ერთობა

ფასი 1 მან.

გაზეთი ღირს: 1 თვით 25 მანეთი, ცალკე ნომერი ყველგან 1 მანეთი. განცხადების, გასი როგორც პირველ გვერდზე, ისე მეოთხეზე — პეტიტის სტრიქონი—2 მან. ჩამოსატანი — განცხადება 40 მანეთი. ნისია განცხადებები არ დაიბეჭდება. რედაქციისა და კანტორის ადრესი: თფილისი, გოლოვინის პროსპ. № 24.

ტელეფონი 16—62.

ოლრაპა ეს საქართველოს სოციალ-დემოკრატიულ პარტიის ცენტრალური ორგანოა.

ორმად დამწუხრებული კონსტანტინე და ელისაბედი შვილებით: გიორგით, თამარით, შალიკოთი და ვახტანგით, აუწყებენ ნათესავთ და ნაცნობთ, რომ ხანმოკლე და მძიმე ავადმყოფობის შემდეგ გარდაიცვალა პირველი ორის დაუვიწყარი ბიძა და უკანასკნელთ საყვარელი პაპა

მიხეილ ესტატეს ძე თაყაიშვილი.

გამოსვენება მოხდება კვირას, 10 აგვისტოს, დილის 10 საათზე, საკუთარ ბინიდან—ვარდისუბნის ქუჩა; № 1, ვერის წმინდა ნიკოლოზის ეკლესიაში. დაკრძალვა მოხდება კუკიის წმინდა ნინოს სასაფლაოზე.

გულდათუთქულნი: ინჟინერი გრიგოლ გიორგის ძე გეგეჭკორი თავისი პაწია ქალებით: თამარით და ნელით და მარიამ ივანეს ასული კაევომიაგი აუწყებენ ნათესავთ და ნაცნობ-მეგობრებს პირველის ძვირფას მეუღლის და მეორის ქალის

ალექსანდრა ნიკოლოზის ასულის გეგეჭკორის

ნორჩი სიცოცხლის უდროოდ ჩაფერფვლას. ცხედარს გამოასვენებენ ბინიდან, გუდოვიჩის ქუჩა № 5, დღეს, 10 აგვისტოს, დილის 9 საათზე და მიასვენებენ ქვაშვეთის ეკლესიაში, საიდანაც წირვის შემდეგ, შუადღის 12 საათზე წაასვენებენ დიდუბეში დასაკრძალავად.

გაუბედურებული მეუღლე სალომე (ცაცუ) ტარიელის ასული, შვილი გრიშა, დედა მარიამი გაბუნიები აუწყებენ ნათესავ-მეგობართ, რომ სამშაბათს, 12 აგვისტოს მცხეთის საქათალიკოზო სობოროში გადახდილ იქნება ორმოცი დღის წირვა და პანაშვიდი უდროოთ დაკარგულ

მიხეილ დიმიტრის ძე გაგუნიას

სულის მოსახსენებლად.

შინაური ძალებით

რაკი გერმანია და მისი მოკავშირენი დამარცხდენ და მსოფლიოს ბედის გადაწყვეტა ანტანტის საბჭოს ჩაუვარდა ხელში, ყველა იმედმა მოიცვა, მალე ზავი ჩამოვარდება და ტანჯული ქვეყანა მოისვენებსო.

ბატონი მოვა და ის განსჯისო—ასეთი ფილოსოფია ასულდგმულებდა ყველას.

სინამდვილემ სულ წინააღმდეგი დაგვანახვა.

მოკავშირენი პირველ რიგში შეუდგენ საერთაშორისო ოჯახის უფრო საშიშ და გაუტანელ წევრების ალაგმვას. ასეთები კი გერმანია და ოსმალეთი იყვნენ. ჩვენ არ შევუდგებით იმის განხილვას, საჭირო და სასარგებლო იყო, თუ არა კულტურულ გერმანიის იმ სახით დამორჩილება, რა სახითაც ის დაიმორჩილეს, მაგრამ რაც შეეხება ოსმალეთს, ის სულაც არ არის „გაევროპიელებული“, როგორც ამას ზოგიერთები მოელოდენ. დამშვიდებაზე და მყუდროებაზე ხომ ლაპარაკიც მეტია, რადგან ე. წ. „დიდ სომხეთის“ შექმნის შემდეგ მუსულმანებს თითქოს საბაბი მიეცათ სომხების წინააღმდეგ სამკვდრო-სასიცოცხლო ბრძოლა დაეწყოთ. დაუმატეთ ამას ისიც, რომ დიდ და გამარჯვებულ სახელმწიფოთა საბჭოს არ აქვს საკმარ ძალა და ავტორიტეტი, რათა თავის დროზე შესძლოს ამა თუ იმ გათავხედებულ სახელმწიფოს ამოწვდილი ხმალი ქაქრაქაში ჩააგებინოს. ამის საკმარ დამამტკიცებელ მაგალითს იძლევა უნგრეთი, რომელსაც ჰატარა რუმინიის ჯართან ერთად სხვა სახელმწიფოების ჯარებიც შეესიენ და მის დამოუკიდებლობას ფეხქვეშ თელავენ და ყოვლად ძლიერი მოკავშირენი უძლურნი არიან რუმინია წესიერების კალაპოტში ჩააყენონ.

ცხადია, ჯერ-ჯერობით კიდევ ბევრი ასაფეთქებელი მასალაა დარჩენილი, ჯერ კიდევ ბევრი დრო გაივლის, სანამ დარღვეული წონასწორობა დამყარდებოდეს და აბობოქრებული ცხოვრება დაწყნარდებოდეს. მოკავშირენი და მათი კონფერენცია უკეთეს შემთხვევაში მხოლოდ მომხდარ ფაქტის აღიარებას თუ შესძლებენ, თორემ ახალი ურთიერთობის დამყარება მათს ძალას და შესაძლებლობას აღემატება.

რა შედეგი მოყვა დიდს და გაერთიანებულ სომხეთს? არაფერი გარდა იმისა, რომ სომხის ერის მდგომარეობა კიდევ უფრო გაუარესდა და დღეს მისი ფიზიკური არსებობაც კი დიდი საფრთხის წინაშე სდგას? რა ნაყოფი გამოიღო დენიკინისათვის სადერკაციო ხაზის დანიშვნამ? რა მოყვა კოლჩაკის მთავრობის ცნობას? სრულიად არაფერი, პირიქით. დენიკინისათვის ხელის შეწყობა კიდევ უფრო აძლიერებს ბალშევიკების ავტორიტეტს და მათს არსებობას ახანგრძლივებს. ამ გარემოებიდან ერთად ერთი სახელმძღვანელო დასკვნა უნდა გამოიყვანონ იმ კუთხეებმა, რომელნიც ერთგვარ ეკონომიურსა და სტრატეგიულ ერთეულს წარმოადგენენ. ასეთია ამიერ-კავკასია, რომლის ბედ-ილბალს დიდი მნიშვნელობა აქვს საერთაშორისო ურთიერთობაში, როგორც მნიშვნელოვანს ერთეულს. მაგრამ საკმაოა ამ ერთეულის შიგნით ეს მთლიანობა და კავშირი დაირღვევს, რომ ამიერ-კავკასიამ დაჰკარგოს ყოველივე მნიშვნელობა, როგორც პოლიტიკურმა ერთეულმა.

ამიტომ, ამიერ-კავკასიის დემოკრატიები უნდა ეცადნენ, რომ, რაც შეიძლება, მეტი ერთობა და თანხმობა დამყარდეს მათ შორის, ერთი დიდი ნაბიჯი საამისოთ უკვე გადადგმულია: ეს არის საქართველო ადერბეიჯანის სამხედრო კავშირი. საჭიროა ამ კავშირს შემოუერთდნენ სომხეთი და მთიელები, რათა ამ გზით შესდგეს ერთი ძლიერი ოჯახი დამოუკიდებლობის სურვილით და ნებისყოფით აღჭურვილი. ასეთს კავშირს ყველა გარეშე ანგარიშს გაუწევს და შინაური დამრღვევი ელემენტებიც შეუშინდებიან. ეს მოსპობს იმ შუღლს და მტრობას, რომელიც დღეს სომეხ-თათართა უთანხმოების სახით ღრღნის ამიერ-კავკასიის სხეულს და ყველა ადგილობრივ ერებს საშინელ საფრთხეს უმზადებს.

საღი დემოკრატიული წყობილების განმტკიცება შიგნით, თითეულ რესპუბლიკაში, და ამ რესპუბლიკების ერთმანეთთან დაკავშირება—აი რა გამოგვიყვანს ჩვენ საერთაშორისო გაჭირვებისაგან და დამოუკიდებლად არსებობას შეგვაძლებინებს.

პრესა

„ნორ-აშხატავორი“ (№ 160) მოწინავე წერილში დამფუძნებელი კრების დამატებითი არჩევნების შესახებ სწერს:

„საქართველოს საზღვრებში ორი პარტიაა, რომელიც ხელმძღვანელობს ქვეყნის პოლიტიკურ ცხოვრებას—ქართული სოციალ-დემოკრატია და დაშნაკცუთიუნი.

„ქართული სოციალ-დემოკრატიული პარტია, რომელიც მხოლოდ სახელითაა სოციალისტური და დემოკრატიული, საქართველოს დამოუკიდებლობის გამოცხადების დღიდან აწარმოებს იმისთანა კაციჭამია და შოვინისტურ პოლიტიკას ეროვნულ უმცირესობის მიმართ, რომ ახლა პირნათლათ გამოსვლა სომეხ მშრომელ ხალხის წინაშე მას არ შეუძლია.

„ქართულმა სოციალ-დემოკრატიამ ამ წლის განმავლობაში შეჰქმნა აუტანელი და განსაცვიფრებელი პირობები სომეხ მშრომელ მასსებისათვის იმ ერთად ერთი მიზნით, რომ გაწმინდოს საქართველო სომეხ მშრომელ მასსებისგან.

„სომეხთა რევოლიუციონურმა პარტიამ დაშნაკცუტიუნმა ამ ერთი წლის განმავლობაში თავის ზურგზე სცადა მენშევიკურ ცარიზმის მუშტები, მაგრამ არ უღალატნია რევოლიუციონურ მშრომელ ხალხის წმინდა ინტერესებისათვის. ძალადობა, ციხე, გადასხლება, დევნა, პროვოკაცია—აი ის საშუალებანი, რომლებითაც გამოვიდნენ მენშევიკების რაინდები სომეხ მშრომელ ხალხის ერთად ერთი ერთგული ხელმძღვანელი პარტიის, დაშნაკცუთიუნის წინააღმდეგ.

„დღეს, როცა სომეხმა მშრომელმა ხალხმა თავის ნდობის ხმა უნდა მისცეს ამ ან იმ პარტიას, როგორც ყოველთვის, ისე ეხლაც, უეჭველათ თავის ხმას მისცემს იმ პარტიას, რომელიც ერთგულათ და უანგაროთ იცავს მის ინტერესებს“.

ამაზეა ნათქვამი: ჩემი შენ გითხარო. დაშნაკცუთიუნი, რომელიც მუდამ მიუროკრატიას ულოკავდა ფეხებს, თურმე ნამდვილი დემოკრატიული პარტია ყოფილა; პარტია, რომელიც ზინოვრების შემწეობით მდიდრებს იცავს, სოციალისტობას ჩემულობს და თანაც უანგარობასაც იკეეხს.

არა გვგონია, საქართველოს საზღვრებში მცხოვრები სომეხი მშრომელი ხალხი კვლავ აყვეს დაშნაკელთა პროვოკაციას.

* *
*

„სახალხო საქმემ“ შფარველობის ქვეშ მიიღო თავისი ამხანაგი თედო ღლონტი იმ წერილითურთ, რომელშიაც ღლონტი სხვათა შორის, სოციალ-დემოკრატების ლანძღვა-თრევასთან ერთად ამტკიცებდა რუსეთის კოოპერატივთა ცენტრო-კავშირთან გაერთიანების სარგებლიანობას ჩვენი კოოპერატივებისათვის.

ამ ხალხს ეუბნებიან, რომ ცენტრო-კავშირთან გაერთიანება **პოლიტიკურის თვალსაზრისით** სახიფათოა, ეს ხელს შეუშლის საქართველოს დამოუკიდებლობის აღიარებას ევროპის სახელმწიფოების მხრითო.

ასე ლაპარაკობს და მოქმედობს ჩვენი საზავო დელეგაცია პარიზში, ასე სწერდა ბორბა“-ში მაქს ანინი. თვით „სახალხო საქმე“-შიაც ასე სწერდა პროფესორი ს. ავალიანი.

ჩვენი შენიშვნის შინაარსი ღლონტის წერილზე ასეთი იყო:

რა მოსაზრებით უშლის ხელს ის თავისი წერილით საქართველოს დამოუკიდებლობის საქმეს? რატომ ავიწყდება მას მენშევიკების ლანძღვაში საქართველოს დამოუკიდებლობა? —ეს იყო და ეს.

გვეგონა „სახალხოც“ ასე გაიგებდა ჩვენს შენიშვნას და თავის მატრაკვეცა ამხანაგს, თუ ლიდერს, წესიერებისაკენ მოუწოდებდა.

სრულიად წინააღმდეგი მოხდა: „სახალხომ“ სამი კითხვა დაგვიყენა. ამ კითხვებში არც ერთი არ ეხება ჩვენ მიერ აღძრულ საკითხს.

ამ ჟამად არ ვფიქრობთ კამათს იმის შესახებ—„ვინ იყო გართული კოოპერაციის დამოუკიდებლობის და ფედერაციის საკითხში“, არც „კოოპერაციის გახელმწიფებას“ ვეხებით, არც იმის ჩამოთვლას შევუდგებით, „თუ რით შეუწყო, ან შეუშალა ხელი ჩვენმა მთავრობამ კოოპერაციას“ და „სახალხოს“ კვლავ ერთ კითხვას დავუსვამთ: ამ ჟამად რუსეთის კოოპერატივთა ცენტრო-კავშირში საქართველოს კოოპერატივების შესვლა მოუტანს თუ არა ზიანს საქართველოს დამოუკიდებლობის საქმეს?

„სახალხო“ სხვათა შორის უკმაყოფილოა იმით, რომ ჩვენი გაზეთი ისეთ დიდ საკითხზე, როგორიც არის ინგლისის ჯარების წასვლა, თითქოს ხმას არ იღებდეს. მერმე მართალია ეს? 7 აგვისტოს ნომერში ინგლისელების წასვლის შესახებ ჩვენ ვსწერდით:

„ამ გარდამავალ ხანაში, როცა ჯერ არც ოსმალეთი ჩამდგარა თავის კალაპოტში და გარს დიდძალი ასაფეთქებელი მასალა გვახვევია, მეტად დიდი მნიშვნელობა აქვს იმ სტატუს ქვოს, იმ ურთიერთობას, რომელიც ამიერ-კავკასიაშია დამყარებული. ინგლისელების წასვლის გამო, თუ მათ ჯარს სხვა ძალა არ შესცვლის, ეს ურთიერთობა ადვილად შეიძლება მოიშალოს და ამიერ-კავკასია მეორე ბალკანეთად გადაიქცეს, რაც არ არის სასურველი არა მარტო ამიერ-კავკასიის დემოკრატიისათვის, არამედ არც საერთაშორისო მყუდროებისათვის“.

9 აგვისტოს ნომერში „სახალხო“ კი ასეთ „ახალ“ აზრს გამოსთქვამს:

„ინგლისის წასვლა ნიშნავს ამ ცოცხალ მეთვალყურის, ევროპიულ მოწმის აქედან წასვლას. აი ჩვენ სწორედ ეს ევროპიული მოწმე გვჭირიან დღეს, რათა ევროპის დიპლომატია საკუთარი გზით და ცნობებით დარწმუნდეს საქართველოს სიცოცხლის და ბრძოლის სამართლიანობაში“.

საზონოვის დეკლარაცია ეროვნულ საკითხის შესახებ

კონსტანტინოპოლის გაზეთ „ანტანტ“-ის ცნობით (27 ივლისის თარიღით) საზონოვმა, როგორც კოლჩაკის ოფიციალურმა წარმომადგენელმა, გაუკეთა ამერიკული „ასოციეტედ-პრეს“-ის კორესპონდენტს დიდი განცხადება, რომელიც არის განვითარება კოლჩაკის განცხადებისა სხვა და სხვა ეროვნებების, რომლებიც არსებობდენ ყოფილ რუსეთის იმპერიის ფარგლებში ავტონომიის შესახებ. საზონოვის განცხადებით კანონები, რომლებიც გამოარკვევენ სხვა და სხვა ეროვნებების მდგომარეობას, შეტანილი იქნება კონსტიტუციაში, რომელსაც დამფუძნებელი კრება გამოიმუშავებს რუსეთისათვის. კოლჩაკის გადაწყვეტილება ვერ ჩაითვლება საბოლოოდ, სანამ მათ არ დაადასტურებს დამფუძნებელი კრება. თითონ კოლჩაკს აქვს პროექტი დეცენტრალიზაციისა აღორძინებულ რუსეთისა. ძველი რუსეთის ერთი დიდი ნაკლთაგანი ის იყო, რომ მას უნდოდა ყველა განაპირეების მართველობა მათგან მეტად დაშორებული ბიუროკრატიული ცენტრიდან. ახალ რუსეთში ადგილობრივი მთავრობები (le gouvernement local) იქნება ძირითადი ბაზები მმართველობისა. გამოცდილება გვიჩვენებს, რომ ეს არის რეალური საძირკველი ყოველი მკვიდრი საზოგადოებრივი შენობისა. კოლჩაკი ფიქრობს ყველა ადგილობრივ საკითხების გადაწყვეტა თვით მცხოვრებთ გადასცეს და ცენტრალურ მთავრობას დაუტოვოს მხოლოდ ფუნქციები საერთო ხასიათისა, რომლებიც განსაზღვრული იქნება კონსტიტუციით. აქ შეიძლება ადგილი ჰქონდეს ადგილობრივი თვითმართველობის სხვა და სხვა ფორმებს (selfgouvernement local) სრულ ავტონომიიდან (homerule) დაწყებული და გადავებული აზიის მომთაბარე ტომთათვის სათემო მართველობის უბრალო ფორმით, სადაც (აზიაში) კულტურის დაბალი საფეხური აუცილებელ საჭიროებად სახავს აღზრდის ხანას, რომელიც წინ უნდა უძღოდეს სრული თვითმართველობის დამკვიდრებას. ამგვარ შემთხვევებში პროცედურა იქნება ანალოგიური იმისა, რომელსაც ხმარობს შეერთებული შტატები თავის ტერიტორიაზე.

შეეხო რა სხვა და სხვა ერებთან დამოკიდებულებას, საზონოვმა აღნიშნა, რომ ის მიზანი, რომელიც ადმირალ კოლჩაკს აქვს დასახული, იმაში მდგომარეობს, რომ მისცეს სხვადასხვა ხალხებს სრული შესაძლებლობა მოაწყონ თავის ცხოვრება თანახმად თავის ადათების და ტრადიციებისა, ჰქონდეთ თავის ენა და სარწმუნოება. მაგრამ თვითმმართველობა (zelfgouvernement) არ უნდა დაეტყოს სახელმწიფოს, როგორც მთლიან ერთეულს. ერთიანობისა და სუვერენიტეტის ავტონომიური წყობილების არსი არის ადგილობრივი მთავრობა, ადგილობრივი საკანონმდებლო კრება, რომელიც ხალხის მიერ არის არჩეული, ოლქები

ᲓᲦᲔᲡ

უნგრეთის თხოვნით ინგლისი, საფრანგეთი და იტალია ჯარებს გზავნიან ბუდაპეშტში წესიერების დასაცავად.

ბალშევიკების ცნობით, პარიზის საზავო კონფერენციას არავითარი ზომები არ მიუღია, რომ რუმინიის ჯარს ბუდაპეშტი დაეტოვებია.

ლიონიდან მიღებული ცნობით, პუდაპეშტში ახალი გადატრიალება მოხდა. ეანდარმებმა მთავრობა გარეკეს. ახალი მთავრობა შესდგა ერცჰერცოგის იოსების მეთაურობით.

საბჭოთა ჯარმა ჩელიაბინსკთან, ბალშევიკების ცნობით, სასტიკათ დაამარცხა კოლჩაკის ჯარები.

ადესის რაიონში საბჭოთა ჯარი უკან იხევს, ეკატერინოსლავის მიმართულებით ბრძოლაა.

დაყოფილი იქნება ეთნოგრაფიულის სხვადასხვაობისდა მიხედვით და ადგილობრივი საკანონმდებლო ორგანოები კანტროლს გაუწევენ ოლქების გასავალსა და შემოსავალს. ადგილობრივი მმართველობის ხელში იქნება აგრეთვე ადგილობრივი სასამართლო.

ცენტრალური მთავრობის გამგებლობაში იქნება საგარეო ურთიერთობა, არმია და ფლოტი, ერთიანი ფულის სისტემა, ფოსტა და ტელეგრაფი, მიმოსვლის მთავარი გზები, საერთო სახელმწიფოებრივი ფინანსები, უმაღლესი სასამართლოები, სამოქალაქო და სისხლის სამართლის კოდექსი.

უმცირესობათა უფლებების უზრუნველყოფა ერთი მთავარი თვისება იქნება კონსტიტუციისა. ეს არის, საზონოვის განცხადებით, შედეგი მოქალაქეთა უფლებების თანასწორობის პრინციპისა, რომელიც კრძალავს ქვეყნის ყოველ ნაწილში რომელიმე მოქალაქის რაიმე შეზღუდვას, მისი რელიგიის წარმოშობის და ადგილ-საცხოვრებლისდა მიუხედავად.

დეკლარაცია შემდეგი განცხადებით თავდება: „ჩვენ ვიცით ის უარყოფის და უნდობლობის გრძნობები, რომლითაც აღვსილი არიან ეხლა მრავალი წარმომადგენლები სხვა დასხვა ეროვნებებისა. ჩვენ ვნანობთ იმ უსამართლობისა და წინასწარ შეხედულებების გამო, რომლებიც გამომდინარეობენ ამგვარ სულიერ განწყობილებიდან, თუმცა გვესმის, რომ ეს რეაქციაა ზოგიერთ წარსულ ამბებისა. ჩვენ მოთმინებით ვადევნებთ თვალყურს ეხლანდელ მდგომარეობას.

უკანასკნელი ცნობები

სამხედრო გენერალური შტაბის ცნობა*).

გაზეთ „ბორბა“-ში 8 აგვისტოს თარიღით № 176 (432) დაბეჭდილია შემდეგი ოფიციალური ცნობა თერგ-დაღესტნის და ასტრახანის ოლქების სარდლობის შტაბისა „29 ივლისი, 1919 წელი. ჩრდილო-კავკასია. მამისონის უღელტეხილზე (სამხედრო ოსეთის გზა) გაჩნდნენ ქართული ჯარის ნაწილები დაახლოვებით სამი როტა და შეავიწროვეს ჩვენი მოდარაჯენი. ქართველების წინსვლის შესაჩერებლათ აჭირო ზომები მიღებულია“.

საქართველოს რესპუბლიკის სამხედრო სამინისტროს გენერალური შტაბის განყოფილება აცხადებს, რომ ეს ცნობა არ შეეფერება სინამდვილეს. ნამდვილათ კი, შეიარაღებული და ორგანიზაციულად მოწყობილი ოსთა „ბანდები“ აფიცრების მეთაურობით გაჩნდენ მამისონის უღელტეხილზე 25 ივლისს და მოულოდნელათ თავს დაესხენ ჩვენს სადარაჯოებს. სასტიკი ბრძოლის შემდეგ ჩვენს დარაჯებს მათ დაახევინეს რესპუბლიკის ტერიტორიაზე. მოგვიკლეს 3 და დაგვიჭრეს 2. ტყვეთ წამოყვანილმა ოსებმა კიბიზოვმა, ჯანოევმა, კუჩიევმა და მაკაევმა აჩვენეს, რომ ჩვენს წინაღმდეგ, მოქმედობდა ოსთა მესამე ბათალიონის ერთი ასეული, პორუჩიკი ჯიოევის მეთაურობით; ეს ბათალიონი შედგენილი იყო ადგილობრივ მცხოვრებთაგან მობილიზაციით. რესპუბლიკის მთავრობას ერთის მხრით არავითარ შემთხვევაში არ შეეძლო თვის ტერიტორიაზე ოსთა „ბანდების“ დატოვება და მეორეს მხრით—დაუსჯელათ დატოვება ასეთი თავხედი, უსაფუძვლო გამოლაშქრება ჩვენი შეიარაღებული ძალების წინააღმდეგ ამიტომ ოსთა რაზმის უფროსს შესაფერი ბრძანება გაეგზავნა, რომელმაც სისრულეში მოიყვანა ხსენებული ბრძანება და „ბანდებისაგან“ გასწმინდა ჩვენი ტერიტორია. 1 აგვისტოს საქართველოს რესპუბლიკის ჯარებმა დაიკავა მამისონის უღელ-ტეხილი.

*) ეს ცნობა ჩვენს გაზეთშიაც დაიბეჭდა 8 ივლისს. რედ

პასუხი საქართველოს მთავრობას ადერბეიჯანის და ხომხეთის მთავრობებისაგან.

საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრს ერევნიდან შემდეგი დეპეშა მოუვიდა:

„სომხეთის რესპუბლიკის მთავრობა გრძნობს რა მომენტის სერიოზულობას და სდგას რა იმ თვალსაზრისზე, რომ ყველა სადავო საკითხები შეთანხმებით გადასწყდეს, მთლიანად უერთდება თქვენს წინადადებას, რომ ამიერ-კავკასიის კონფერენციის სხდომები განახლდეს, რაზედაც მან თავისი თანხმობა განაცხადა ჯერ კიდევ 30 ივლისს დეპეშაში ევანგულოვის სახელზე, № 3120, აგვისტოს 8.

საგარეო საქმეთა მინისტრი **ხატისოვი**“.

ადერბეიჯანიდან შემდეგი დეპეშა მოვიდა: „№№ 5559 და 5581 დეპეშების საპასუხოდ გაცნობებთ, რომ მთავრობა მუდამ მიისწრაფოდა ყველა სადავო საკითხების მშვიდობიან გადაჭრისაკენ და ამიერ-კავკასიის ხალხების მშვიდობიან ურთიერთ ცხოვრებისაკენ და ამ მიზნით ჯერ კიდევ ივლისის დასაწყისში მოლაპარაკება დავიწყეთ სომხეთის წარმომადგენელთან დროებითი სამოსაზღვრო ხაზის დასადგენად. ვცნობთ რა ეხლანდელ მომენტს სერიოზულად კავკასიისთვის, თანხმობას ვაცხადებთ, რომ ამიერ-კავკასიის კონფერენციის სხდომები განახლდეს. № 2455.

საგარეო საქმეთა მინისტრი **ჯაფაროვი**.

ᲓᲔᲞᲔᲨᲔᲑᲘ

(საქართველოს დეპეშათა სააგენტო)

9 აგვისტო

ᲑᲐᲚᲨᲔᲕᲘᲙᲔᲑᲘᲡ ᲪᲜᲝᲑᲔᲑᲘ.

მოსკოვი. აგვისტოს 8. **№ ის არმიის შტაბი.** აგვისტოს 6. პსკოვის ჩრდილო და სამხრეთ აღმოსავლეთით მტერი მოვიგერიეთ. პსკოვ-ოსტროვის რკინის გზის აღმოსავლეთით ბრძოლით ავიღეთ სოფ. ტროიცკაია. მდ. ველიკაიას დასავლეთით მტერმა ცეცხლის წამკიდებელი ყუმბარები დაგვიშინა. **სამარა.** აგვისტოს 8, ჩელიაბინსკის დაკარგვის შემდეგ კოლჩაკმა თავი მოუყარა 3 უკანასკნელ დივიზიას, მე-11, 12 და 13 და თავისივე ხელმძღვანელობით ჩელიაბინსკს შემოუტია. ჩელიაბინსკის სამხრეთით და ჩრდილოეთით 6 დღე მკაცრი ხელჩართული ბრძოლა იყო. მტერი გავანადგურეთ. მე-11 დივიზიიდან 5000 კაცი წამოვიყვანეთ ტყვედ, მე-13 დივიზიიდან 4000 ტყვე. კოლჩაკის არმია საბოლოოდ გავანადგურეთ; ხელთ ვიგდეთ 4000 დატვირთული ვაგონი, 100 ორთქლმავალი და დიდი ძალი იარაღი და სურსათი. **ლიონი.** აგვ. 7. უნგრელების თხოვნით ინგლისი, საფრანგეთი და იტალია თითო პოლკის გაგზავნას აპირებენ ბუდაპეშტში წესიერების დასაცავად. როგორც სჩანს, მოკავშ. უმნიშვნელო შეიარაღებულ რაზ. გაგზავნიან ბუდაპეშტში. **მოსკოვი.** 8 აგვისტო. საერთაშორისო მდგომარეობა: უნგრეთი უფრო მძიმე მდგომარეობაშია, ვიდრე რუსეთი. ის გარშემორტყმულია შოვინისტურ პატარა სახელმწიფოებით, საიდანაც შეუძლია იმოქმედოს მოკავშირეთა იმპერიალიზმმა. ულონო და მოქანცულმა უნგრეთმა ძლივს გაუწია წინააღმდეგობა უცხოეთის ბურჟუაზიას. საბჭოთა უნგრეთის დაცვას ჩვენი ქვეყნისთვისაც დიდი მნიშვნელობა აქვს. განთავისუფლებული რუმინიის ნაწილები უთუოდ უკრაინის ფრონტზე გადმოვლენ **სამხედრო ცნობა. აგვ. 8. ჩრდილოეთის ფრონტი.** პეჩორის რაიონში რამდენიმე სოფელი ავიღეთ ტროიცკაიას სამხრეთ-დასავლეთით 20 ვერსის სიშორეზე. **ლიონი,** აგვ. 7. ლონდონიდან იუწყებიან, რომ უნგრეთის ყოფილ საბჭოთა მთავრობის წევრების სახელმწიფო სასამართლოს გადასცემენ. **ლიონი;** აგვ. 7. როგორც სჩანს, კონფერენციას არავითარი ზომები არ მიუღია, რომ რუმინიის ჯარს ბუდაპეშტი დაეტოვებია. **დასავლეთის ფრონტი.** პსკოვის რაიონში პორხოვის ჩრდილო-დასავლეთით 5 ვერსის სიშორეზე ჩვენ სოფლები ავიღეთ. მოლოდეჩნოს მიმართულებით მტრის ძალდატანებით ჩვენმა ჯარმა მინსკის დასავლეთით 35 ვერსის მანძილზე მდებარე ახალ პოზიციებზე დაიხია. ბარანოვიჩის მიმართულებით ჩვენმა ჯარმა ნესვიჟის დასავლეთით მე-5 ვერსის მანძილზე მდებარე ახალი პოზიციებისაკენ დაიხია. **სამხრეთის ფრონტი.** ხარკოვის რაიონში ბელგრად-სუზდალის მიმართულებით გრაივორონკო დავსტოვეთ. გრაივორონკოს ჩრდილოეთით 20 ვერსის მანძილზე და ობოიანის სამხრეთ დასავლეთით ბრძოლაა. სად. ლისკის სამხრეთით 30 ვერსზე ვორონეჟის რაიონში 1 სოფელი ავიღეთ. ჩვენმა ჯარმა აიღო წინა დღით დატოვებული ბობროვის ჩრდილო-აღმოსავლეთით ოცდა თხუთმეტ ვერსზე მდებარე ნოვაია ჩიგლა. ჩვენმა ჯარმა რკინის გზის ხაზი დაიჭირა ნოვოხოპირსკამდე. **სამხრეთ-დასავლეთის ფრონტი.** დუბნოს კენ ჩვენმა ჯარმა შეპელეკის დასავლეთით 50 ვერსის მანძილზე მდებარე ხაზი დაიჭირა. პროსკუროვის მიმართულებით ჩვენმა ჯარმა ბრძოლით უკან დაიხია სტარო კონსტანტინოვკას ჩრდილოეთით 15 ვერსის მანძილზე მდებარე ხაზზე. **აღმოსავლეთის ფრონტი.** მდ. ვოლგის მარჯვენა მხარეზე ცარევის რაიონში ჩორნი იარის ჩრდილო-დასავლეთით 10 ვერსის მანძილზე რამდენიმე სოფელი ავიღეთ; წამოვიყვანეთ ტყვეები და ხელთ ვიგდეთ 20 ტყვიისმფრქვეველი. მტრის ჰაეროპლანმა ჩორნიიარში 100 ყუმბარა ჩამოაგდო. ურალსკის სამხრეთით 40 ვერსის მანძილზე ჩვენმა ჯარმა რამდენიმე სოფელი აიღო. ორენბურგის რაიონში ჩვენი შეტევა მარჯვედ ვითარდება წამოვიყვანეთ ტყვეები და ხელთ ვიგდეთ ტყვიისმფრქვეველები. ჩელიაბინსკის აღმოსავლეთით 60—70 ვერსის მანძილზე რამდენიმე სოფელი ავიღეთ **ბერლინი,** აგვ. 2. მიუნქენში საველე სასამართლომ რუსეთის კომუნისტების ბელადს, საბჭოთა მთავრობის აღმასრულებელი კომიტეტის ყოფილ წევრის, აკსელროდს მიუსაჯა 15 წლის ციხე და ყველა მოქალაქეობრივ ნდობა 10 წლით მოსპო. **ნაუენი,** აგვ. 8. უნგრეთის მთავრობასა და ინგლისელ გენერალის შორის მოლაპარაკება გრძელდება. თათბირის მთავარი საგანია რუმინელების დროებითი ზავის პირობები, რომელიც მოკავშირე მთავრობებს ნამეტან მძიმედ მიაჩნიათ. **ლიონი,** აგვისტოს 3. მოვიდა ცნობა, რომ ბუდაპეშტში ახალი გადატრიალება მოხდა. დარბაზში, სადაც ახალი მთავრობა იყო, გამოცხადდენ უნგრეთის ჟანდარმები და ყველა იქ მყოფნი განდევნეს. დაარსდა ახალი მთავრობა ერცჰერცოგ იოსების მეთაურობით. ის სცდილობს ყველა პარტიის წარმომადგენელნი შეაჯგუფოს, რომ კოალიციონური კაბინეტი დაარსოს. **ჰელსინგფორსი.** აგვ. 3. ადგილობრივი გაზეთების ცნობით ინგლისის მთავრობამ დაადგინა, რომ გენერალ როლინსონი რუსეთში გაგზავნოს და არხანგელსკიდან და მურმანსკიდან ჯარი გამოიყვანოს. **უკრაინის სამხედრო ცნობა.** სარნის მიმართულებით სიწყნარეა. ლუცკის მიმართულებით მდგომარეობა არ შეცვლილა. რაძივილოვის მიმართულებით ჩვენი ჯარი მდ. გირიაისაკენ იხევს. ჟმერინკის მიმართულებით მტერი მოვიგერიეთ. დნესტრის რაიონში მტერს აქტივობა არ ეტყობა. ოჩაკოვის რაიონში წინასწარ დაზვერვის შემდეგ მოწინააღმდეგე ლიმანში შემოვიდა. საათნახევარში ქალაქში 500 ყუმბარა ჩამოაგდეს. ქალაქში მრავალი სახლი დაინგრა. მტრის გემები სტანისლავს ესროდენ. ოდესის ჩრდილო-აღმოსავლეთით მრბომ გზა გააფუჭა და მახლობელი სოფლები დაიჭირა. მიროვის რაიონში ჩვენ მტერი გვავიწროვებს და უკან ვიხევთ. ეკატერინოსლავის მიმართულებით ბრძოლაა. მოვიდა შეუმოწმებელი ცნობები, რომ ვერხნე დნეპროვსკი ისევ დავიბრუნეთ. პოლტავის რაიონში არსებითი ცვლილება არ მომხდარა. ზოგიერთ ადგილებში ჩვენ უკან დავიხიეთ. დასავლეთით მტრის შეტევა შესუსტდა. არის იმედი, რომ მოკლე ხანში მტრის წინსვლას დასავლეთის მიმართ. საბოლოოდ დავამარცხებთ.

ᲐᲮᲐᲚᲘ ᲐᲛᲑᲔᲑᲘ

სამშაბათს, 12 აგვისტოს, საღამოს 5 ს. საქ. ს. დ. მ. პ. თფილისის კომიტეტი იწვევს კრებას 1 და 2 რაიონებისას, დიდუბეში მუშათა კლუბში, მუშტაიდში. მოხსენებას გააკეთებს რუსეთიდან მოსული ამხ. ტუმასი, შემდეგ თემაზე: „საბჭოთა რუსეთის დღევანდელი მდგომარეობა და მისი მომავალი“. შესვლის ფასი 1 მანეთი.

თფ ქალაქის საბჭოს სხდომა შესდგება 11 აგვისტოს. სხდომა გაიხსნება რეგლამენტის თანახმად. პრეზიდიუმი სთხოვს ყველა ფრაქციებს მიიღონ ზომები, რომ ხმოსნები თავის დროზე მობრძანდნენ. საბჭოს პრეზიდიუმი.

ინგლისელი სალდათის მკვლელები. 6 აგვისტოს ღამით საჯირითო მოედანზე, დიდუბეში, მოჰკლეს ინგლისელი სალდათი და დასჭრეს ანნა კონიშევის ქალი. სისხლის სამართლის მილიციამ მკვლელების კვალს მიაგნო. ისინი აღმოჩნდენ რკინის გზის ბათალიონის სალდათები ერმილე მიხეილის ძე ბარდაველიძე და ბაგრატ ყარამანის ძე გვენაძე; შეპყრობილნი გამომძიებელს გადაეცა, რომელიც საქმეს იძიებს პროკურორის ტატიშვილის ხელმძღვანელობით. შეპყრობილნი დანაშაულში გამოტყდნენ.

საქარიფო პალატის, მისი მუშაობისა და მნიშვნელობის შესახებ ხვალ, 11 აგვისტოს საღამოს 7 ს. პროფესიონალურ კავშირთა საბჭოს ინიციატივით ქალაქის შრომის ბირჟის სადგომში (მადათოვის და პარიანინის ქუჩ. კუთხე) გაიმართება ლექცია—დისპუტი. მომხსენებელი იქნება ლიადოვი (მანდელშტამი) კამათში მონაწილეობას ეღებენ კ. ნინიძე, გოლოდნი, ბახრაძე, აბდუშელიშვილი და სხვ. საბჭო სთხოვს ყველა დაინტერესებულ პირთ გამოცხადდენ და მიიღონ მონაწილეობა კამათში. ლექციაზე შესვლა უფასოა პროფესიონალურ კავშირთა წევრების და პარტიული ორგანიზაციების მიღებით.

ვერის მუშათა კლუბში. დღეს, 10 აგვისტოს წარმოდგენილი იქნება ქართულ ენაზე „ეხლანდელი სიყვარული“. მონაწილეობას მიიღებენ საუკეთესო ძალები. წარმოდგენის შემდეგ—ვახშამი.

თავის მოკვლა. 4 აგვისტოს გვარდიელთა ლაზარეთში რევოლვერით თავი მოიკლა ბარბარე ევსტაფის ასულმა ტარახაშვილმა.

ახლად დანიშნული სანაპირო ჯარის უფროსი გენერალი ახმეტელაშვილი და მისი თანაშემწე პოლკოვნიკი კაკაბაძე 8 აგვისტოს გაემგზავრნენ დარიალის სანიპირო რაზმში სამსახურის საქმეების გამო.

— გუშინდელ ჩვენს გაზეთში,—მეორე რაიონული კოლექტივის ანგარიში, მოხსენებულია, რომ მეორე ქართულ კლუბში ფრონტის დღის სასარგებლოთ გამართულ საღამოს დაუტოვებია 11,000 მანეთიო. ნამდვილათ კი, როგორც კომიტეტიდან გადმოგვცეს, მეორე ქართულ კლუბში გამართულ საღამოდან კომიტეტს მიუღია 16,945 მან.

ᲙᲠᲔᲑᲔᲑᲘ

კვირას, 10 აგვისტოს, ავლაბრის სახალხო უნივერსიტეტის შენობაში დილის 10 ს. დანიშნულია „ფრონტის დღის“ მომწყობი კომისიის სხდომა საბოლოო ანგარიშების გამოსარკვევად, ამიტომ კომისიის ყველა წევრთ ევალებათ მობრძანდენ კრებაზე.

— დღეს, დილის 10 ს., სახალხო უნივერსიტეტის სადგომში (ველიკოკნიაჟესკაია № 28) შესდგება პურის საქმის მუშათა კავშირის კრება.

— ორშაბათს, 11 აგვისტოს, საღამოს 6 საათზე დანიშნულია ქალაქის საბჭოს ხმოსანთა ს. დ. ფრაქციის სხდომა.

ᲡᲐᲑᲭᲝᲗᲐ ᲠᲣᲡᲔᲗᲘᲡ

არც ღერბი, რომელიც ჩაქუჩსა და ნამგალს გამოხატავს, არც საბჭოთა რესპუბლიკის კონსტიტუცია, არც მისი ოფიციალური და ოფიციოზური პუბლიცისტიკა არ სტოვებენ თითქოს არავითარ ეჭვს, რომ ძალა-უფლება, რომელიც განაგებს საბჭოთა რუსეთს, არის ძალა-უფლება მუშების და გლეხებისა და მისი ნამდვილი ფორმა—დიქტატურა—არის დიქტატურა პროლეტარიატის და გლეხობისა.

მაგრამ ეჭვი, როგორც ითქმის, დასაწყისია, როგორც სხვა, ისე პოლიტიკური სიბრძნისა, და ჩვენ, რომლებთაც ბალშევიკების მსგავსად ჯერ არ გვივლია მისი განსაზღვრული გზა, ბუნებრივად დიდი ეჭვები გვეპარება: ნამდვილად ასეთია ძალა-უფლება, თუ არა?

დავიწყოთ გლეხობიდან. ის იყოფა სამ სოციალურ ჯგუფად, რომელთა შორის პირველს შეადგენს „კულაკები“, მეორეს საშუალო გლეხობა („სერედნიაკები“) და მესამეს ულარიბესი გლეხობა, სოფლის ნახევრად პროლეტარები. ეჭვი არაა, ბალშევიკები უნდა დამყარებოდენ ამ ულარიბეს გლეხობას და გამწვავებინათ ის ურთიერთობა, რომელიც არსებობდა მათსა და სხვა ჯგუფებს შორის. ამ მიზნით შესდგა ულარიბესი გლეხობის კომიტეტები („კომბედები“). ამათთვის არ იშურებდენ არაფერს და ყველაფრით ეხმარებოდენ და ბალშევიკური სოვნარკომი. მაგრამ გავიდა წელიწადნახევარი და ეს „კომბედები“ მთელ ველიკოროსიაში მთავრობამ ოფიციალურად გააუქმა. ეს იმიტომ, რომ იმ მრავალ აჯანყებების მიზეზად, რომელიც საბჭოთა რუსეთში დაიწყო გლეხობამ, სოვნარკომმა ეს „კომბედები“ დასახა, რადგანაც შიგ „კულაკებიც“ გაბატონდენო. საკვირველია, რომ სოფელში—მეტად განსაზღვრულ ტერიტორიაზე, სადაც თითქმის ყველა იცნობს ერთიერთმანეთს „კულაკი“ მდიდარი, რომელიც გლეხობას სჩაგრავდა, ულარიბესი გლეხის, ნახევრად პროლეტარის სახით როგორ შეძვრებოდა „კომბედში?“ მაგრამ პირდაპირ პასუხს ბალშევიკებისაგან ვერ გაიგებდით, რადგანაც ეს ნიშნავდა გლეხობაზე მათი შეხედულების ძირიანად უარყოფას. მერე გამოაცხადეს „სერედნიაკების“—საშუალო გლეხობის—უპირატესობა. მას დაემყარა სოვნარკომი და მას შეასხეს ხოტბა. სასტიკი მიწერილობა იყო ცენტრიდან, რომ სოფლად კომუნიზმი ხელოვნურად არ შემოეღოთ. გაათავისუფლეს ეს საშუალო გლეხობა არაჩვეულებრივ სამხედრო გადას-

ᲐᲯᲐᲜᲧᲔᲑᲐ

(ემილ ვერხარნისა)

ქუჩით მოისმის ბოხი ფეხის ხმა,
უთვალავ სხეულთ ხროვა ირხევა,
და სიზმრებისა სიგიჟისაკენ
საიდანღაცა ხელი იწევა.
მოჩვენებებით, ზიზღით, კივილით,
ქუჩა მოცულა გააფთრებული,
და ავსებული საშინელებით,
მიფრინავს ისე, როგორც ფრთა სხმული.
ქუჩა დღით ბრწყინავს ოქროს სხივებში,
მწუხრის ჟამს მოსჩანს ძოწეულის ფრათ,
ცეცხლისა ალში თავს სწევს სიკვდილი,
ხმა სიკვდილისა მოისმის მძაფრათ.
და ვით ხანდახან მოჩვენებაში,
სიკვდილს მოუჩანს პრიალა ხმლები,
და მოკვეთილი კაცის თავები,
მინდვრათ მოჭრილი ვით ყვავილები
თოფ-ზარბაზნების ჭექა-გრიალი,
ბასრ იარაღის მძაფრი ხმაური,
აჩვენებს, რომ აქ მეუფობს კვნესა,
ტანჯვა, ცრემლი და აურ-ზაური.
ციხე-კოშკებში საათები სულ
ამომტვრეულა განასროლ ქვებით,
როგორც თვალები ქუთუთოებში
ამოგლეჯილი გაბოროტებით.
დიადს, აღგზნებულ წყრომის გარშემო
დრო ადრინდელის არა დის დენით,
წყრომა მიწიდან ზე აღმომხდარა,
საფლავის ქვებთან დამდგარა ღრენით,
წყრომა ბოროტი, წყრომა უსაზღვრო
ყრუ ოხვრით სისხლის თავზედ ჩუხჩუხით,
საუკუნეებს სჭრის, ანადგურებს
ერთი აღმართვით, გიჟური დაკვრით.
რაც ბრწყინვალებდა ლაღ ოცნებაში,
რასაც ფარავდა შორს მომავალი,
რაც ანათებდა სულის სიღრმეში
და გულში იყო რაც დანამალი,
კაცობრიობას რაც კი დაეცო,
რაც დიდება და ძალა ებადა,
ამ სისხლით წითელ, მედგარ ბრძოლაში
ბრბომ დაამკვიდრა, უცბათ დაბადა.
საშინელების შორის ზე აღსდგა,
სისხლით მორთული დღესასწაული,
ხალხი მღელვარე, სისხლით მთვრალია,
ხალხი სისხლში სჩანს ამოვლებული,
და მიმოფენილ მსხვერპლთა გვამებზე
გადადის, ისმის გიჟი ყიჟინა,
სიხარულისა დროშა ფრიალებს
მის ქვეშ სიცილით ბრბო მირბის წინა.
კასკები კრთიან მბრწყინავ ტალღისებრ,
იერიშია აქა-იქ ხალხზე,
მაგრამ ხალხი კი მედიდურებით
დამთვრალი ძიდის სისხლიან გზაზე,
და აღტაცებულ სურვილით ელის
რომ აღგზნებული მოიკლას ჟინი
და უკანასკნელ დაიდგას თავზე
სისხლით წითელი ძლევის გვირგვინი!
რათა განახლდე, დაჰკა, მოჰკალი!
თითქოს ბუნებას სურდეს მხოლოდ ის,
რომ ისახდოოს გიჟი ყიჟინით,
თავდავიწყებით იყოს მარადის...
მსხვერპლათ დაეცი, ან სხვა მოკალი
სიგიჟის წუთი როს დადგა სწრაფი,
ასე იხევა და იქსოვება
დაუსრულებლათ სიცოცხლის ძაფი!
ცეცხლი მოედვა სახლებს და ხიდებს,
კედლებზე ერთვის სისხლი და ბნელი,
მღვრიე რუებში აჩრდილათ მოსჩანს
მშვენიერების ხრწნა საშინელი,
და ოქროსფერი შარავანდედით
დამშვენებული ციხე-კოშკები
შორით მოსჩანან, შორიდან ქალაქს
მწყობრათ ასხიან როგორც ლანდები.
შავი, მხურვალე ხელები თრთიან,
ოქროს საბურავთ წყვდიადში ყრიან,
ცეცხლ მოდებული სახლთ სახურავნი
ქარს მაღლა მიაქვს, მაღლით იწვიან.
სიკვდილი საზარ კვნესა-კივილ ქვეშ
დაჩონჩხილ ხელის თითებით უტყვათ,
კედელთა შორის აფენს სხეულებს
ღრმა ჭრილობებით, გულის საკლავათ.
ლეშნი ტყვიებით მთლათ დაცარულნი
ყოვლგან სცვივიან მრავლათ, გუნდ-გუნდათ,
მათზე თამაშობს გრძნეული შუქი,
ანათებს იწვის მომჯადოებლათ.
ამ შესაზარელ, მოჩვენებათა
მსგავს არსებათა მძაფრი კივილი,
უკანასკნელათ გაისმის მწარეთ,
რომ გააღვიძოს ბოღმა-ტკივილი!
ამაყი ზარი სამრეკლოისა
სცემს ვით ბრძოლაში მეომრის გული,
ხან მიყუჩდება ვით სულთმობრძავის
ქვითინი, კვნესა მიწყნარებული.
ლამაზი კოშკი სამრეკლოისა
კაშკაშებს უცხოთ განათებული,
სიძველის ნაშთსა ციხე-კოშკებში,
რომელთ მწვერვალით ქალაქს დასცქერდენ
ოქროს არწივნი და შემოსევას
ბოროტი მტრისას მყის აუწყებდენ,
კარი ჩაიღო, კლიტე დაიმსხვრა,
შიგ ბრბო შეიჭრა და შკაფებს ლეწავს,
რადგან კანონი ბრბოს სულთა მხდელი
ვიღაცა ბოროტს აქ ჩაუკეტავს.
ცეცხლისა ალი მოედვა წიგნებს,
ცეცხლისა ენა წიგნებში ძვრება,
წარსული უნდო, ბოროტი, შავი
ცეცხლში ინთქება და იღუპება.
ძვირფასი ღვინო სარდაფებსა რწყავს,
აივნებიდან ისვრიან მკვდრებსა,
განძი, მშვენება რაც არსებობდა
ბოროტ წყურვილმა დაიპყრო დღესა
და კრთის, ბრჭყვიალებს შიშველ მიწაზე...

. . . . . .

ბნელით მოცულმა ქალაქმა უცბათ,
იფეთქა, იქცა ოქროსფერ მხარეთ,
შორს აზვირთებულ სივრცეს გაჭყურებს,
გვირგვინი უჩანს თავს მოელვარეთ,
წყრომამ, სიგიჟემ დაიპყრეს ყოფნა,
სწურავენ როგორც მწველი ბეჭედი,
წუთიც და მიწაც დაიწყებს ზანზარს,
მთებს სწვდება ცეცხლის შარავანდედი!
ცეცხლი მოედვა და იწვის სივრცე
კვამლი ცას სწვდება,—სადაც ღმერთია,—
რათა განახლდე ან შეჰქმნა—მოჰკალ!
მოჰკალ! თუნდ მოგკლან, ეს სულ ერთია!
ან კარს გააღებ, ან ხელს მოიტეხ...
წითლათ თუ მწვანეთ მოგვევლინება
სულ ერთი არის, გაზაფხული ხომ
სიცოცხლით სავსე, ტურფა იქნება...

რ. ლეჩხუმელი.

ხადისაგან და სამხედრო საქმეთა ნარკომმა ტროცკიმ გამოაცხადა გლეხობა საბჭოთა რუსეთის ბუნებრივ მოკავშირეთ და კომუნისტური რევოლიუციის ხელის შემწყობათ, მაგრამ გლეხობა თავის ნებით პურს მაინც არ იძლეოდა და ეს მოკავშირეც არ გამოდგა ერთგული.

რაც შეეხება მუშათა კლასს, სიტყვით ის არის უმაღლესი ბატონ-პატრონი რუსული მიწა-წყლისა, ძალა-უფლების პირველი წყარო და სხვადასხვა. მაგრამ საქმით? პოულობს თუ არა საბჭოთა მთავრობა მუშებში მხარის დამჭერლებს, ჰყავს თუ არა მას მუშათა კლასის უმრავლესობა? არსებობს თუ არა მუშათა კლასში ის ნებისყოფა საბოლოო გამარჯვებისათვის, რომლის გამომხატველად სთვლის თავის თავს სოვნარკომი და არსებობს თუ არა მასში ის უმაღლესი აქტივობა, რომელიც საჭიროა გამარჯვებისათვის? თანდათან გადიდებული გაფიცვები და სტიქიური უკმაყოფილება მუშებისა მრეწველობის ისეთ დიდ ცენტრებში, როგორიც არის ქ. ტულა, პეტროგრადი, ივანოვო ვოზნესენსკი, ხარკოვი—ამბობენ იმას, რომ საკმაო ნაწილი მუშათა კლასისა საბჭოთა მთავრობასთან არაა. მეორეს მხრივ დრაკონის ზომათა მიღება მათ ასალაგმავად და დასამორჩილებლად, მასიური მოთხოვნა ადგილიდან (პუტილოვის ქარხანა, ბალტიქსანრდეს რკ. გზ.), ფილტრაცია ახლად ვარსოლებად—გვიჩვენებს, თუ როგორ შემცირებელ-დეური გავლენა „მუშების და გლეხების“ [illegible]რობისა, მასსებზე. მასსიური ტეროორი მუშების წინააღმდეგ აშკარად მოწმობს იმას, რომ თვით მთავრობა გრძნობს თავისთავს უმცირესობად მთელ მუშათა კლასში. იმასაც არ ვიტყვით სრულებით, რომ მუშათა კლასის უმრავლესობა მზადაა გამოვიდეს მთავრობის წინააღმდეგ. არა. მუშათა მასსები ეხლა პასიურია. საბჭოებშ ხელახალი არჩევნები არ ხდება, და თუ ხდება მუშებში დიდი აბსენტიზმია. ხარკოვში ორთქმავლების საამშენებლო ქარხანის 6 ათას მუშებში მონაწილეობა მიიღო 600 კაცმა და მთელ 100 ათას მუშიდან სარაიონო საბჭოებში მონაწილეობა მიიღო 4 ათასმა.

ორი მომენტი არის ეხლა დამახასიათებელი მუშათა მასისათვის. ერთის მხრივ საბჭოთა მთავრობაში იმედის გაცრუებამ მოშალა პოლიტიკური „ცენტრები“ და შეაჩერა შემდეგი პოლიტიკური თვითგამორკვევა მუშათა ნაწილებისა. მეორეს მხრივ, ტეროორის რეჟიმმა შექმნა პოლიტიკური შიშიანობა და გაამრავლა მათში „უპარტიოთა“ რიცხვი. საყურადღებოა რომ უკანასკნელ სრულად რუსეთის პროფესიულ კავშირთა ყრილობაზე ერთ მეხუთედს „უპარტიონი“ შეადგენდენ, საბჭოთა მთავრობა გაცილებით უკეთესად ხედავს, ვიდრე მისი არაშორსმჭვრეტი დამფასებლები და მოყვარულნი, თუ რა უფსკრულია გათხრილი მასა და მასსებს შორის და რიგორ დაშორდებოდა მას მუშათა ორგანიზაციების მოქმედება და მოღვაწეობა, რომ მაი ამის თავისუფლება ჰქონდეთ მინიჭებული. აქედან გამომუშავდა თეორია და პრაქტიკა პროფესიული და კოოპერატიული დამოუკიდებელი მოძრაობის უარყოფისა. (ბ.)

ᲡᲐᲮᲐᲚᲮᲝ ᲒᲐᲜᲐᲗᲚᲔᲑᲘᲡ ᲡᲐᲛᲘᲜᲘᲡᲢᲠᲝᲨᲘ

კერძო საშუალო სასწავლებლები.

კერძო საშუალო სასწავლებელთა გამგეებს შემდეგი ცირკულიარი დაეგზავნა:

კერძო საშუალო სასწავლებლების რევიზიამ, რომელიც მოხდა სახალხო განათლების მინისტრის ამხანაგის განკარგულებით, აღმოაჩინა ბევრი უწესეობა: თითქმის ყველა ეს სასწავლებლები აღჭურვილი არიან მთავრობის სკოლების უფლებებით, მაგრამ იშვიათად მოიპოვება მითში ისეთი, რომელიც შეეფერება თავის დანიშნულებას და ამართლებს მისდამი მინიჭებულ უფლებებს.

ამ კერძო სასწავლებლების მმოძრავი იდეა უფრო მერკანტილურია, ვიდრე პედაგოგიური: თითოეული სკოლის გამგეობა მეტს ყურადღებას აქცევს შემოსავალ-გასავალს, ვიდრე სწავლა-აღზრდის საკითხს.

იშვიათია ამის გამო, ისეთი კერძო სასწავლებელი, რომელსაც აქვს სასკოლო ჰიგიენის მოთხოვნილების დამაკმაყოფილებელი ბინა. კერძო სასწავლებლებს აკლია შესაფერი მოწყობილობაც: არ აქვთ არც ფიზიკური, არც გეოგრაფიული, არც საბუნებისმეტყველო კაბინეთები. ზოგს სასწავლებელს არ გააჩნია უბრალო გეოგრაფიული და ისტორიული რუქებიც. მასწავლებელთა კონტინგენტიც კერძო სასწავლებლებში, ჯამაგირის სიმცირის გამო, შესდგება უმთავრესად სათანადო მომზადებას მოკლებულ პირებისაგან, რომლებიც გარდა ამისა ნაკლები სიბეჯითით ეპყრობიან თავის მოვალეობას. ხშირად კერძო სასწავლებლებში ღებულობენ ისეთ მოწაფეებს, რომლებსაც არა აქვთ სათანადო მომზადება, ასეთ პირობებში ძნელია ნორმალური მეცადინეობა.

მართლაც, კერძო სკოლებში სწავლა ვერ სწარმოებს სასურველ ინტენსივობით. სასწავლებლები ხშირად სტოვებენ ხოლმე გაკვეთილებს და საზოგადოთ ვერ იჩენენ საჭირო მუყაითობას სწავლებაში. ამოკლებენ სახალხო განათლების სამინისტროს მიერ დამტკიცებულ პროგრამებს და იმასაც კი, რასაც ასწავლიან, გადიან ფრიად ზერელედ და ფუჭსავატად.

ამასთან ერთად კერძო სასწავლებლები არღვევენ მათ შესახებ არსებულ კანონის დებულებებს: ღებულობენ მოწაფეთ უსაბუთოდ, აძლევენ ისეთ მოწმობებს, რომლების გაცემა აღემატება მათს კომპენტენციას, არ უფარდებენ გაკვეთილების ცხრილს და საზოგადოთ სწავლა-აღზრდის საქმის წარმოებას სამინისტროს მოთხოვნილებებს და სხვა. ყველა ამის გამო, კერძო სრულუფლებიან სასწავლებლების მეოხებით მრავლდება რიცხვი ყოველ გვარი ატესტატებისა, მაგრამ სახალხო განათლებას ამით არაფერი ემატება. პირიქით რეალურ მნიშვნელობას მოკლებული ატესტატები ხელს უწყობენ ნამდვილი შრომისათვის სრულიად მოუმზადებელი ახალგაზრდობის გამრავლებას.

ვინაიდან ზემოთ აღნიშნული უწესოება სწავლა-აღზრდის საქმეში გამოწვეულია უმთავრესად იმით, რომ კერძო სკოლებს, რომლებსაც მინიჭებული აქვთ ფორმულურათ მთავრობის სასწავლებლების უფლებები, არ შესწევთ არც მატერიალური, არც მორალური სახსარი შექმნან იმ ფორმის შესაფერისი შინაარსის სახალხო განათლების სამინისტრო, რომელიც თავის მოვალეობად სთვლის ყოველგვარი დახმარება გაუწიოს სახალხო განათლების საქმეში კერძო ინიციატივას, თუ ეს უკანასკნელი გამსჭვალული იქნება საღი პედაგოგიური ფორმის გამოყენებით, სრულიად არა პედაგოგიური მიზნების მისაღწევათ, ამიტომ სახალხო განათლების სამინისტრომ დაადგინა: ა) რამოდენიმე კერძო საშვალო სასწავლებელი სრულიად დაიხუროს, ბ) წაერთვას მთავრობის სკოლის უფლებები კერძო საშვალო სასწავლებლებს, ან სრულიად დაიხუროს, გ) წინადადება მიეცეს დანარჩენ კერძო საშუალო სასწავლებლებს იხელმძღვანელონ მომავალში კერძო სასწავლებლების შესახებ არსებულ დებულებით და მეტი მზრუნველობა გამოიჩინონ მათდამი მინდობილ ახალგაზრდობის სწავლა-აღზრდაში.

ᲛᲣᲨᲐᲗᲐ ᲨᲝᲚᲠᲘᲡ

თფილისი. 30 ივლისს ავლაბრის სახალხო უნივერსიტეტის დარბაზში შესდგა ავლაბრის მკერავ ქალთა ფართო კრება, რომელიც მოწვეულ იყო ს. ს. დ. მ. პ. მე-3 რაიონის კოლექტივთან არსებულ ქალთა ორგანიზაციის მიერ. კრებაზე ილაპარაკეს ნ. სულუხიამ და ოლ. ბაქრაძემ. მათ ქალებს მოუწოდეს შეერთება-შეკავშირებისაკენ და კულტურული მუშაობისაკენ. ამ კრებაზე [illegible] მოთ დარჩენილ ქალთა საკითხი. კრებამ სურვილი გამოსთქვა, რათა ქალთა ორგანიზაციასთან დაარსდეს ავლაბრელ ქალთა არტელი, რომლის მიზანი იქნება სამუშაოს გამოძებნა და მოწოდება ამხანაგ ქალებისთვის. წინადადება არტელის დაარსების შესახებ მიღებულ იქნა. ამავე კრებაზე აირჩა ქალთა არტელის გამგეობა კომისიის სახით, რომელიც გამოძებნის სამუშაოს. არჩეულ იქნა აგრეთვე საკანტროლო კომისია, რომელიც გადაარჩევს მძიმე მატერიალურ პირობებში მყოფ არტელის წევრთ. X.

თფილისი. ქალაქის სასაკლაოს მუშების საერთო მდგომარეობა ძლიერ განსხვავდება სხვადასხვა დარგებში მომუშავეთაგან. ეს მუშები იტანენ ძნელ სამუშაოს ყოველ დღე. მთელი ტანსაცმელი სისხლით აქვთ დასვრილი და განიცდიან აუტანელ სინოტიეს ზამთარ-ზაფხულ. მით უმეტეს, თუ ყოველ საღამოს არ გაირეცხა ტანსაცმელები სისხლში დასვრილი, ზაფხულში ახლოს ვერ გაეკარება კაცი. ყველა ამას რომ ყურადღება არ მივაქციოთ, ყველაზე უფრო აუტანელია ის, რომ ტეხნიკურათ მოუწყობლობის გამო ხშირათ გამოდიან კამერიდან ფეხით თუ ხელით დასახიჩრებულნი და იქვე მათ არ ყავთ მშველელი ექიმი და თუ საიდანმე გაჩნდა ფერშალი, ისიც ვერ ეხმარება აუცილებელი საჭიროების მასალის უქონლობის გამო. ასეთ მდგომარეობაში მყოფი მუშები ღებულობენ 600—700 მ. თვეში. მუშებისათვის არ არსებობს ექიმი და აბანო, რაც დიდ საჭიროებას წარმოადგენს. იმედი კიდეე არ დაჰკარგვიათ ქალაქის სასაკლაოს მუშებს, რომ ადმინისტრაცია და სასაკლაოს ხელმძღვანელები მიაქცევენ მუშების ასეთ უმწეო მდგომარეობას ყურადღებას.

ს.-დ. ᲞᲐᲠᲢᲘᲐᲨᲘ

გურია. ყველასათვის აშკარა არის, რომ იდეიური მუშაობა ჩვენს პარტიაში ბევრ ადგილას სრულიად არ სწარმოებს და თუ სადმე არის, იქაც სუსტათ მიმდინარეობს. ამ მოვლენას, რასაკვირველია, ერთი საპატიო მიზეზი აქვს, რომელიც წილად არგუნა ბედმა ჩვენს პარტიას. ეს ის არის, რომ ბევრს ჩვენს პარტიაში მომუშავე ამხანაგებს მოუხდა მთავრობის დაწესებულებებში და სხვადასხვა დემოკრატიულ ორგანიზაციებში მუშაობა და ამ რიგათ პარტია მივიწყებული დარჩა. უმეტეს შემთხვევაში ჩვენი პარტიული ორგანიზაციები თავის არაპირდაპირ მოვალეობას ასრულებენ.

ამ მოვლენისთვის არა ერთხელ მიუქცევია ყურადღება გურიის ს. დ. კომიტეტს, რომელიც თითქმის ყოველ მორიგ სხდომებზე ეძიებდა ზომებს, რომლის შემწეობითაც შეიძლებოდა პარტიული მუშაობის გაჩაღება და პარტიის წევრების გათვითცნობიერება. რამოდენიმეჯერ სცადა გურიის კომიტეტის პრეზიდიუმმა სპეციალურ პარტიული ინსტრუქტორების დაქირავება, მაგრამ სასურველ შედეგებამდე ამ ზომებმაც ვერ მიგვიყვანა, რადგანაც ერთი და ორი ინსტრუქტორი მთელს მაზრაში ვერაფერს გახდა და მეტის დაქირავების შეძლება ხელმძღვანელ ორგანიზაციას არ ქონდა.

3 მაისის სხდომაზე გურიის კომიტეტმა დაადგინა, რომ დაარსებულიყო პრეზიდიუმთან მუდმივი მომხსენებელთა კოლეგია, რომლის წევრები ივლიდენ საზოგადოებებში და გააკეთებდნენ მოხსენებებს მომენტზე და სხვადასხვა პარტიულ კითხვებზე. ამ საკითხის მოგვარება დაკისრებული ქონდა პრეზიდიუმს, მაგრამ პრეზიდიუმმა ვერ სცნო შესაძლებლათ ასეთი კოლეგიის შექმნა, რადგანაც საამისო საკმაო თავისუფალი ძალებიც არ მოეპოვებოდა და მასთან კოლეგიის დაარსება ითხოვდა აუარებელ ხარჯებს, რომელიც ძალიან მძიმე ტვირთად დააწვებოდა ჩვენს პარტიულ ორგანიზაციებს.

პრეზიდიუმმა სხვა ზომას მიმართა და კიდევაც შეუდგა მისს ცხოვრებაში გატარებას: რადგანაც ყველა რაიონში გამოინახება ისეთი ამხანაგები, რომლებსაც საშუალება და საჭირო ცოდნაც აქვთ, რომ იდეიურ მუშაობას უხელმძღვანელონ, ამიტომ დაევალა რაიონულ კოლექტივებს იყოლიონ ასეთი პასუხისმგებელნი მომხსენებლები, რამდენიც შესაძლებელი იქნება და ყოველ კვირაში დანიშნულ დღეს „იაჩეიკებში“ მოხსენებები აკეთონ. ეს დადგენილება ბევრ ადგილას უკვე გატარდა და ბევრს ადგილას ეხლა ტარდება ცხოვრებაში. გურიის ს. დ. კომიტეტის პრეზიდიუმი კი უწევს საერთო ხელმძღვანელობას და კონტროლს ორგანიზაციების მუშაობას და მოქმედებას. რომ ყოველივე გაუგებრობა და ბურუსი, რომლითაც მოცული არის ჩვენი

მასსის ნაწილი და რომლის შედეგები გურიის ზოგიერთ საზოგადოებებში აშკარად სჩანს, რომ ყველა ეს გაფანტულიყო და ხალხი გარკვეულიყო ყოველივე იმ დღიურ კითხვებში, რომლებიც მას აინტერესებს, პრეზიდიუმმა საჭიროდ სცნო ყველა საზოგადოებებში მიტინგების მოწყობა და სხვა და სხვა საჭირბოროტო კითხვების გარკვევა. ამ მიზნისთვის პრეზიდიუმმა გამოიწვია თფილისიდან ამხანაგები ალექსანდრე ეორეოლიანი და კალე ქავთარაძე, რომლებსაც დაევალა საზოგადოებებში სიარული და ლექციების და მოხსენებების კითხვა. ხსენებულმა ამხანაგებმა მუშაობა უკვე დაიწყეს. იყვნენ რამოდენიმე საზოგადოებაში; გააცვნეს ხალხს ჩვენი რესპუბლიკის საშინაო და საგარეო მდგომარეობა, მთავრობის პოლიტიკა, ეროვნების მნიშვნელობა და სხვა და სხვა დღიური კითხვები. ხალხი მათი მოხსენებებით ძალიან კმაყოფილი რჩება, რადგანაც მომხსენებლები მდაბიო, გასაგები ენით ყველა საჭირ-ბოროტო კითხვებზე, რომლითაც ხალხი არის დაინტერესებული პასუხს აძლევენ. ხალხი ასეთ მიტინგებს სიამოვნებით ესწრება და ყურს უგდებს. ამ რიგათ, ასეთ მიტინგებს და ლექციებს უდიდესი მნიშვნელობა აქვს, რადგანაც ხალხი ყოველივე გაუგებრობას და ბურუსს შორდება და საქმის ნამდვილ ვითარებას ეცნობა.

ჩვენ იმედი გვაქვს, რომ ასეთი მიტინგები და ლექციები მოეწყობა გურიის ყველა კუთხეში, რაც ხელს შეუწყობს, როგორც პარტიის წევრების, ისე მასსის გათვითცნობიერებას. **მიხ. ბაჟუნაიშვილი.**

თფილისი. 4 აგვისტოს ავლაბრის სახალ. უნივერსიტეტის შენობაში შესდგა ს. ს.-დ. მ. პ. სომეხთა სექციის კრება, რომელიც მოწვეული იყო სომეხთა ეროვნულ საბჭოს არჩევნების მომავალ მუშაობის გეგმის შესამუშავებლად. კრებას დაესწრო სომხური სექციის წევრები, ილაპარაკეს ამხ. ვარდოიანმა და კაიტაჯიანმა. შემდეგი კრება, უფრო ფართო, უნდა მოწვეულ იქნეს მომავალ კვირისათვის (10 აგვისტოს). **X.**

პროვინცია

სვანეთის ავ-კარგი. სვანეთში ყველა უბედურებებს აღემატება სწავლის საქმე.

ამ სამი-ოთხი წლის წინეთ, თითო საზოგადოებაში იყო თითო სკოლა, მაგრამ მიუხედავათ მაშინდელი სასტიკი რეჟიმისა, სწავლა მაინც გვარიანათ სწარმოებდა.

ამ სამი-ოთხი წლის განმავლობაში სკოლების რიცხვი ერთი-სამათ გაუდიდებიათ. თითქმის ყოველ პატარა სოფლებშიც კი, სადაც 28—30 მოსახლე ცხოვრობს, სკოლები აუშენებიათ, მაგრამ ჩვენდა საუბედუროთ, სწავლა არსად, არც ერთ სოფელში არ არის.

სკოლების შენობები, ახლებს გარდა, თითქმის ნახევრათ დანგრეულან: ყავარი ზოგი ქარს მოუტაცნია, ზოგიც სოფლის პატარა ბიჭებს, პარტების დიდი ნაწილი დამტვრეულია, კარ-ფანჯრები დალეწილია, იატაკები ბევრგან ლპება წვიმისა გამო. ზოგიერთ სოფლებში პატარა მწყემსები წვრილფეხა საქონელს ერეკებიან შიგ და აფარებენ სიცხეებისა და წვიმების დროს. ერთი სიტყვით, სასწავლებლები ყველგან გაპარტახებულია და ვერ ნახავთ ვერც ერთ სოფელში, რომ ერთი-ორი ბავშვი სწავლობდეს.

მასწავლებლები ყველანი ადგილობრივნი (სვანები) არიან. ისინი ცხოვრობენ თავ-თავიან სახლებში (ერთი-ორი კაცის გამოკლებით) და ყველანი ეწევიან ოჯახურ ცხოვრებას. ჯამაგირს ყველა მათგანი ღებულობს უკლებლივ მთელი წლების განმავლობაში და მასთან დიდ უმადურობასაც აცხადებენ საერთოდ, რომ ჯამაგირი ცოტა გვაქვსო (400 მან. თვეში). მათი უმრავლესობა შესტრფის მხოლოდ იარაღს და თითქმის ვერც კი ნახავთ ისეთს, რომ შეიარაღებული არ იყვეს. ბევრ მასწავლებელს შეხვდებით თავით-ფეხამდე შეიარაღებულს. მაგალითად: ზედ აქვს ვინტოვკა, მპარწყინავი პატრონებით, რევოლვერი—პატრონებით, ხმალი და ხანჯალი. სამწუხაროთ უნდა აღვნიშნოთ, რომ ზოგიერთი „მასწავლებელი“ ქურდობაში და ძარცვა-გლეჯაში ერევა და მეთაურობს ყაჩაღთა ბანდებს.

არავითარი კავშირი ერთმანეთში მასწავლებლებს არა აქვთ.

რაიმე იდეურ მუშაობაზე ლაპარაკი მათთან (სახეში მყავს უმრავლესობა), პირდაპირ შეუძლებელია, რადგანაც კამათის დროს ზოგი მათგანი იარაღს მიმართავს (ასეთი მაგალითი იყო). ყველაფერს ა ას უყურებენ მცხოვრებლები და ფიქრობენ: „ნასწავლი“ ხალხი ასე შვრება და ალბათ, ასეც უნდაო,—თუმცა გულში კი ყველა გრძნობს, რომ ეს ბოროტებაა.

ასეთია მოკლეთ სწავლის საქმე სვანეთში და იმედია, რომ ამას ყურადღებას მიაქცევს ვისაც ჯერ არს. **მუშა სვანი.**

თეატრი და მუსიკა

კაპელა.

როგორც მკითხველებს მოეხსენება, ამ რამდენიმე დღის წინად ქართულმა მუსიკალურმა საზოგადოებამ დაარსა კაპელა, ქართულ მუსიკალურ ნაწარმოებთა შესასწავლათ და მისი ხალხში გასავრცელებლად. კაპელას ხელმძღვანელობს ცნობილი კომპოზიტორი დ. არაყიშვილი; ხოლო ამ ფრიად სასარგებლო და კულტურულ-ხელოვნური საქმის ფართოდ მატერიალური დახმარება და ხელის შეწყობა თავს იდვა ამიერ-კავკასიის კოოპერატივთა კავშირმა.

ამ ერთი კვირის წინათ ზემოხსენებულმა კაპელამ, თავისი ჯერ ნორჩი ნამუშევარი სანიმუშო კონცერტით გამოვიდა თფილისის დემოკრატიულ კლუბში, რითაც მსმენელი საზოგადოება ძლიერ ნასიამოვნები დარჩა.

ამიერ-კავკასიის კოოპერატივთა კავშირმა განიზრახა ეს კაპელა სამოგზაუროთ გაუშვას პროვინციის დაბა-ქალაქებში კონცერტების გასამართავად, რათა ფართო დემოკრატიას საშუალება მიეცეს ხალხურ მუსიკალურ ნაწარმოებთა მოსმენისა.

კაპელა 14 ამ თვიდან გაემგზავრება საკონცერტო მოგზაურობისათვის და ფრონტზე, რომელიც მოწყვეტილია ყოველგვარ კულტურულსა და ხელოვნების განცდას, გვარდიელებსა და ჯარისკაცთათვის უფასო კონცერტებს გამართავს; აგრეთვე მოიარეს ყველა თვალსაჩინო ადგილებს.

ᲐᲜᲒᲐᲠᲘᲨᲘ

29 ივნისს, 1919 წ. ორთაჭალის სახ. გვარდიელთა ოჯახების დამხმარე კომისიის მიერ გამართულ საღამო სეირნობისა ადგილობრივ მუშათა კლუბში.

შემოსავალი. 1) ბილეთებიდან 17.010 მან., 2) საპატიო ბილეთებიდან 8.305 მ., 3) ლატარია-ალეგრიდან 10.145 მ., 4) ბუფეტიდან 12.542 მ., 5) ფოსტა და ყვავილებიდან 960 მ., 6) პროგრამების და წიგნების გაყიდვიდან 248 მ. 80 კ., 7) დარჩენილ პროდუქტებიდან 2.049 მ., 8) ფულით შემოწირულება 2.074 მ., სულ 53.332 მან. 80 კ.

გასავალი. 1) სამხედრო მუსიკას 1000 მან., 2) მიხეილ კავსაძის ხოროს 700 მან., 3) ბუფეტის ხარჯები 1239 მან., 4) კლუბის გამგეობას, სხვადასხვა ხარჯებში 540 მან., 5) ვანო მჭედლოვს 200 მან., 5) დურგალ არჩვაძეს 100 მან., 7) სათეატრო ხარჯები 250 მან., 8) ყვავილებში ი. შუბლაძეს 160 მან., 9) კლუბის გალავანის შეკეთება 100 მან., 10) საჩეკო წიგნაკებში 165 მან., 11) გაბო ოძელაშვილს ოთხი დღის მოცდენაში 184 მან., 12) წვრილმალი ხარჯები 324 მ., სულ 4962 მ.

დარჩა წმინდა შემოსავალი 48.370 მან. და 80 კაპ. ამ თანხას მიეცა შემდეგი დანიშნულება: 40 ათასი მანეთი გადაიდო ერთ დროულ დასახმარებლად, 8370 მან. 80 კ. იმუშავებს სესხის სახით იმ გვარდიელებისათვის, რომლებიც ხელმოკლობას განიცდიან. 40 ათასი შეინახება სახელმწიფო ბანკში, საიდანაც გვარდიელების ოჯახობა მიიღებენ ერთდროულ დახმარებას რაიონულ შტაბის დადგენილების თანახმად. ორთაჭალის გვარდიელთა ოჯახების დამხმარე კომისია უღრმეს მადლობას უცხადებს იმ ამხანაგებს და მოქალაქეებს, რომლებმაც რაიმე დახმარება აღმოუჩინეს კომისიას ამ საქმეში, აგრეთვე კომისია ხაზ-გასმით აღნიშნავს ქვემორე ჩამოთვლილ ამხანაგების მუყაით მუშაობას, რაზედაც მათ რაიონული შტაბი სახ. გვარდიისა მადლობას უცხადებს: 1) ნიკოლოზ მარკაროვს (კულტურა), 2) რუბენ კაკოიანცს, 3) გიორგი და არჩილ შათირიშვილებს და ყველა იმ პირებს, რომლებმაც საღამოში უსასყიდლოთ მონაწილეობა მიიღეს. კომისია აგრეთვე მადლობას უცხადებს ბართლომე კილაძეს და დიტიატკოვის ამხანაგობას, პირველმა სრულიად უფასოდ დაგვიბეჭდა აფიშები, პროგრამები და საპატიო პირთათვის ბილეთები, მეორემ კი უსასყიდლოთ მოგვცა ქაღალდი.

კომისიის წევრები: ვ. ათაბეგოვი. ვ. ინწკირველი და მ. ნაკაიძე.

კომისია აცხადებს, რომ ამ საღამოდან დარჩენილი ნივთები სწორი აღწერით ინახება განსაკუთრებულ დალუქულ ყუთში შტაბთან, ამავე მიზნით მეორედ ლატარია-ალეგრის გასამართავად.

კომისიის მდივანი მ. ნაკაიძე.

ᲒᲐᲜᲪᲮᲐᲓᲔᲑᲐᲜᲘ

ქ. ქუთაისში ორპირის და ბაღის ქუჩის შუა იყიდება

ᲥᲕᲘᲡ ᲓᲣᲥᲐᲜᲘ

მისამართი: თფილისი, რუსთაველის ქუჩა სახლი № 6 ბინა 3 მელიტონ სოსელია. (2—2)

ᲓᲐᲕᲙᲐᲠᲒᲔ

წლიური პასპორტი, მოცემული გამოჩინებულის საზ. კომისარისაგან № 236, რომელსაც ვთვლი გაუქმებულად. ონისიმე კონსტანტინეს ძე ბაგუა.

ᲑᲠᲘᲜᲯᲘ გირვანქა 8 მანეთი, ფუთი 320 მანეთი.

გირვანქა 14 მანეთი **ᲥᲘᲨᲛᲘᲨᲘ** ფუთი— 520 მანეთი

იყიდება **ᲚᲒᲝᲢᲐᲙᲘᲡ** მაღაზიაში, ოლოლას ქუჩა, სახლი № 3.

დოქტორი **Ა. ᲨᲝᲚᲓᲨᲢᲔᲘᲜᲘ**

ყოფილი ასისტენტი ბარონ როტშილდის მთავარი გოსპიტალისა და ჟენევის უნივერსიტეტის კლინიკისა.

თვალის ავადმყოფობანი. ამორჩევა სათვალეებისა. მიღება 8—12 საათამდე და 4—7 საათამდე ნიკოლოზის ქუჩა, № 32.

ელისაბედის ქუჩაზე სახლში № 157 გაიხსნა დიდუბის

ᲙᲔᲠᲫᲝ ᲡᲐᲛᲙᲣᲠᲜᲐᲚᲝ

ავადმყოფები მიიღება დილის 8 საათიდან საღამოს 8 საათამდე. (24—9)

ექიმი **Ა. Ა. ᲨᲐᲨᲠᲐᲜᲘ**

სპეციალურად სიფილისი და მისი შედეგები (შეშხაპუნება „606“ და „914“) ვენერიული (ტრიპერი) და საშარდე ორგანოების სნეულებანი. ავადმყოფების მიღება ყოველ დღე დილის 8—11 და საღამოს 5—8 საათამდე. კვირაობით მხოლოდ დილით. მისამ: ოლოლას ქუჩა № 33.

ექიმი **Გ. Ლ. ᲗᲣᲠᲘᲐᲨᲕᲘᲚᲘ**

მედიცინის დოკტორი მიუნხენის უნივერსიტეტისა იღებს შინაგან, საბავშვო და ქალურ სნეულ. ოთხშაბათობით და შაბათობით დილ. 10—11 საათ. დანარჩენ დღეებს დღის 12—2 ს. ნიკოლოზის ქუჩა № 7 სიმხოვიჩის აფთიაქის გვერდით. ტელეფონი 14—13.

ექიმი **Გ. Მ. ᲛᲣᲡᲐᲫᲔ**

თფილისიდამ გაემგზავრა და 1 ენკენისთვემდის ავადმყოფების მიღებას შეწყვეტს.

ექიმი **ᲜᲘᲙᲝᲚᲝᲖ ᲘᲕᲐᲜᲘᲡ ᲫᲔ ᲛᲐᲮᲕᲘᲚᲐᲫᲔ**

სიფილისი და ვენერიული სნეულებანი. შეშხაპუნება „606“ და „914“ მიღება დილით 9—11, საღამოთი 4—6 ს. მიხეილის პროს. სასტუმრო „ნოე“-ს პირდაპირ № 116. ტელ. 14—28.

ექიმი **ᲜᲘᲙᲝᲚᲝᲖ ᲘᲕᲐᲜᲘᲡ ᲫᲔ ᲛᲐᲮᲕᲘᲚᲐᲫᲔ**

იღებს სპეციალურად—მალარიით (ციებდა მისი შედეგებით დასნეულებულთ) სისხლის ნაკლებობით, გულისა, ფილტვისა, ქარებით და სხვა შინაგან სნეულებით ავადმყოფთ ყოველ დღე საღამოთი 4—6 საათამდე. ელექტროზაცია. მისამართი: მოსკოვის ქ. № 11, ზემელის აფთიაქის ახლო.

მედიცინის დოქტორი ბერლინის უნივერსიტეტისა **Ა. Ბ. ᲛᲔᲒᲠᲐᲒᲘᲐᲜᲪᲘ**

შინაგანი ავადმყოფობა, ბლექისა და გულისა. იღებს ახალ რენტგენის—ელექტრო წამლობის კაბინეტში; ხასინჯვა და წამლობა ᲮᲡᲮᲘᲕᲘᲗᲘᲗ, დიდი სალენოიდი და არსენვალი, ტოკით ფილტვების, გულის და სხვა შინაგანი ავადმყოფობისათვის, ღარიბებს უფასოთ ყოველ დღე დილის 9—1 საათამდე და საღა, მოს 5—8 ს. ბებუთოვის ქ. № 23, ტელ. 7—92.

საექიმო კაბინეტი

ექიმ **Ჯ. Თ. ᲪᲥᲔᲕᲘᲚᲐᲨᲕᲘᲚᲘᲡ**

მიიღებიან: ვენერიული, კანის, სიფილ. და სხვა გვარ სნეულებანი ავათმყოფები საშარდე და სასქესე ორგანოთა (606 და 914-ით წამლობა) მიხაილოვის საავათმყოფოსთან, ფოსტის ახლოს მიხაილოვის (№ 55) დაბეგრის (№ 1) ქუჩების კუთხე 5—7 ნახ. საათ.

ექიმი ქალი **Რ. Ბ. ᲨᲘᲨᲚᲝ-ᲡᲐᲑᲐᲨᲕᲘᲚᲘ**

მედიცინის დოქტორი ჟენევის უნივერსიტეტისა და ედინბურგის მედიკურ ქირურგიულ კოლეჯისა. თფილისიდან წასვლის გამო ავადმყოფთა მიღება შეწყვეტილია 20 აგვისტომდე.

ექიმი **Დ. Ი. ᲯᲐᲤᲐᲠᲘᲫᲔ**

ღებულობს შინაგან, ყურის, ყელის და ცხვირის სნეულობით ავადმყოფებს დილის 12—1 ნახ. საათ. საღამოს 5—6 საათ. მისამართი: მადათოვის ქუჩა. № 7. ალექსანდრეს ბაღის პირდაპირ. ტელეფონი 16—65.

ქალაქის შრომის ბირჟის სადგომში

(მადათოვის ქუჩა, ალექსანდრეს ბაღის ბოლოში, ბარიათინსკის ქუჩის კუთხე)

ᲞᲠᲝᲤᲔᲡᲘᲝᲜᲐᲚᲣᲠ ᲙᲐᲕᲨᲘᲠᲗᲐ ᲡᲐᲑᲭᲝ ᲝᲠᲨᲐᲑᲐᲗᲡ, 11 ᲐᲒᲕᲘᲡᲢᲝᲡ, ᲛᲐᲠᲗᲐᲕᲡ

ᲚᲔᲥᲪᲘᲐ—ᲓᲘᲡᲞᲣᲢᲘ

ᲡᲐᲡᲢᲐᲠᲘᲤᲝ ᲞᲐᲚᲐᲢᲐ, მისი მუშაობა და მნიშვნელობა.

შემდეგ თემაზე:

მომხსენებელი—**ᲚᲘᲐᲓᲝᲒᲘ (ᲛᲐᲜᲓᲔᲚᲨᲢᲐᲛᲘ).** დისპუტში მონაწილეობას მიიღებენ: **გოლდმანი, ბახტაძე, აბდუშელი** და სხ. ვინაიდან კითხვა დიდმნიშვნელოვანია, პროფ. კავშ. საბჭო მოუწოდებს დაინტერესებულ პირთ მონაწილეობა მიიღონ კამათში.

შესვლა უფასოა პროფესიონალურ კავშირთა და პოლიტიკურ პარტიათა საწევრო ბილეთებით. **დასაწყისი საღამოს** 7 საათზე. პროფ. კავშირთა საბჭო მოუწოდებს ლექციაზე ყველა წევრთ პროფ. კავშირებისა.

პატივცემულ საზოგადოების საყურადღებოთ.

„ᲘᲜᲢᲔᲚᲘᲒᲔᲜᲢ ᲥᲐᲚᲗᲐ ᲯᲒᲣᲤᲘ“

იღებს ყოველგვარ საკერავს, რომელსაც თავის დროზე ასრულებს. აგრეთვე ამავე ჯგუფთან სკოლაში, რომელიც რამოდენიმე წელიწადი არსებობს, მიიღება მოწაფე ქალები ჭრა, კერვის, ქარგვის, ფეხსაცმელის და სხვადასხვა ხელსაქმის სასწავლებლათ, რომლებთანაც იმეცადინებენ საზოგადოებაში ცნობილი დამსახურებული მასწავლებლები. სკოლა სრულ უფლებიანია. მეცადინეობა დაიწყება პირველ ენკენისთვიდან.

მისამართი: ვერის დაღმართი, № 3, ბინა 9, ეზოში. (10—1)

ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲠᲔᲡᲞᲣᲑᲚᲘᲙᲘᲡ

სამხედრო სასწავლებელი აცხადებს:

პირველ სექტემბრიდან თფილისში იხსნება სამხედრო სასწავლებელი განყოფილებებით: ქვეითა ჯარისა, საარტილერიო, ცხენოსან ჯარისა და საინჟენერო. სასწავლებელში მიღებულ იქნებიან ახალგაზრდანი წლოვანებით 17—25 წლამდე.

მსურველთ თხოვნა სამხედრო სასწავლებლის უფროსის სახელობაზე უნდა შემოიტანონ და დაურთონ შემდეგი დოკუმენტები: 1) მოწმობა ჯარისკაცთა გამწვევ უბანზე მიწერის მეს სახეზ, 2) ატესტატი საშუალო სასწავლებლის გათავებისა, 3) მოწმობა იმის შესახებ, [illegible] არ ყოფილა მიცემული სამართალში, 4) მეტრიკული მოწმობა და 5) ერთი შეხედ[illegible] ფოტოგრაფიული სურათი.

სწავლა ქართულ ენაზე იქნება. ქართული ენის ცოდნა აუცილებელია. (2—2)

ᲡᲐᲧᲝᲕᲔᲚᲗᲐᲝ ᲡᲐᲧᲣᲠᲐᲦᲚᲔᲑᲝᲓ

დამფუძნებელმა კრებამ მიმდინარე წლის 18 ივლისს მიიღო დეკრეტი, რომლის ძალითაც სახელმწიფო, საზოგადოებრივი და კერძო საკრედიტო, სავაჭრო-სამრეწველო დაწესებულებანი და აგრეთვე ფაბრიკა-ქარხნები და საერთოდ დამქირავებელნი ვალდებულნი [illegible] ან ამ კანონის გამოქვეყნების დღიდან თავიანთ მოსამსახურეებს ჯამაგირის პირველ [illegible] ბისთანავე ერთბაშათ დაუბრუნონ ქალაქის თვითმართველობის სასარგებლოთ ერთდროული სანიტარული გადასახადი. ამიტომ ყველა ზემოაღნიშნული დაწესებულებანი მოვალენი [illegible] მიმდინარე ავგისტოს ხვედრი ჯამაგირიდან თავიანთ მოსამსახურეთ დაუჭირონ ქალაქის [illegible] სარგებლოთ გადასახადი და წარმოადგინონ ქალაქის კასაში საჭირო ბლანკების მიღებ[illegible] იძლევა: 1) ქალაქის გამგეობაში (გადასახადთა ბიუროში). 2) ყველა კომისარიატებში. 3) ხარჯთ-ამკრეფ ბიუროს აგენტების კანტორებში, რომელნიც იმყოფებიან: 1 უბანში—[illegible] დაღმართზე, მოედანზე (სადაც ხორცის დუქნები იყო). 2—3 უბანში—ბაზრისა და [illegible] ქუჩების კუთხეში, 4—5—თათრის მოედანზე (სასწორის თაკზე). 6—7—კახეთის მ[illegible] ზე, ნუნუფაროვის ბაზარში. 8—9—ელისაბედის ქ. № 10. 10—12—ჩერქეზიშვილის [illegible] 87. 11—ხუდადოვის ქ. № 75, ჩარკვიანის სახლი.

(3—3) **ქალაქის გამგეობა**

მსწრაფლმბეჭდავი სტამბა რუბაძისა, გაბაევის შესახვევი № 1.